

სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესი

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება.

- 1. ცენტრი** - არასამაწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი აგროსერვის ცენტრი;
- 2. პროგრამის პოტენციური ბენეფიციარი** - საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი, საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური და იურიდიული პირი (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი), რომელთანაც შესაძლებელია გაფორმდეს დაფინანსების ხელშეკრულება;
- 3. პროგრამის ბენეფიციარი** - საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური და იურიდიული პირი (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი) რომელთანაც გაფორმდება თანადაფინანსების ხელშეკრულება (გარდა სახელმწიფო/მუნიციპალური საწარმოსი);
- 4. ახალგაზრდა მეწარმე** - „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული ინდივიდუალური მეწარმე, იურიდიული პირი, რომელსაც ყავს ერთი პარტნიორი და მესაკუთრე, რომელთა ასაკი ცენტრში განაცხადის წარდგენის მომენტისათვის შეადგენს 18-დან 40 წლის ჩათვლით და რომელთანაც გაფორმებულია თანადაფინანსების ხელშეკრულება;
- 5. თანადაფინანსების ხელშეკრულება** - ცენტრს და ბენეფიციარს შორის გაფორმებული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარსა და ცენტრს შორის უფლება-მოვალეობებს.
- 6. პროგრამა** - სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა;
- 7. ახალი ბიზნესი** - სამეწარმეო საქმიანობა, რომელსაც იწყებს პირი და განაცხადის წარდგენის მომენტისთვის არ გააჩნია მიმდინარე ბიზნესი;
- 8. განაცხადების შეფასების კომისია** - პროგრამის ფარგლებში მომდევნო ეტაპზე გადასული პოტენციური ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილი განაცხადების განსაზღვრულ ქულათა სისტემის შესაბამისად შეფასების, რეკომენდაციის მომზადება, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე თანადაფინანსების თანხის წინასწარ გადახდის რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, ცენტრის დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაში ცენტრის თანამშრომლებთან და ხელმძღვანელობასთან ერთად, შესაძლებელია შედიოდნენ სხვადასხვა სახელმწიფო ან/და არასახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლები;
- 9. ბენეფიციართა შესარჩევი კომიტეტი** - განაცხადების შეფასების კომისიის მიერ მომზადებული რეკომენდაციების საფუძველზე, განაცხადების საბოლოო განხილვასა და ბენეფიციართა შერჩევის მიზნით ცენტრის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ბენეფიციართა შესარჩევი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში ცენტრის ხელმძღვანელობასთან ერთად, შედიან სხვადასხვა სახელმწიფო ან/და არასახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლები;

10. **განაცხადი** - წერილობითი დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აღწერს მიმდინარე მდგომარეობას, ბიზნეს იდეას, მიზნებს და ამ მიზნების მიღწევითვის აუცილებელი ქმედებებს;
11. **განაცხადაზე თანდართული დოკუმენტაცია** - პოტენციური ბენეფიციარის მიერ განაცხადაზე თანდართული წინამდებარე წესით განსაზღვრული დოკუმენტები;
12. **პროგრამის მენეჯერი** - ახდენს პროგრამის კოორდინატორის და სპეციალისტის საქმიანობის ორგანიზებას, მათ მიერ მომზადებული დოკუმენტაციის შემოწმებას და მათ მომზადებაში მონაწილეობას, დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობისა და პროექტთან შესაბამისობის მონიტორინგის ორგანიზებას;
13. **პროგრამის კოორდინატორი** - ადგენს პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი განაცხადისა და თანმდევ დოკუმენტების შესაბამისობას პროგრამით გათვალისწინებულ პირობებთან, იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტაცია არ არის სრულყოფილი ელ. ფოსტის მეშვეობით აცნობებს პოტენციურ ბენეფიციარს ხარვეზის შესახებ, ორგანიზებას უწევს ბენეფიციართა შეფასების კომისიის და ბენეფიციართა შესარჩევი კომიტეტის სხდომების ჩატარებას, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ახორციელებს ხელშეკრულების შესრულების დოკუმენტურ მონიტორინგს;
14. **პროგრამის სპეციალისტი** - უზრუნველყოფს პოტენციურ ბენეფიციართან შეთანხმებით, განაცხადით წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმებას ადგილზე გასვლით, განაცხადში მითითებული ტერიტორიის მონიტორინგს და დათვალიერების აქტის შედგენას;
15. **თანადაფინანსება** - პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარდგენილი პროექტის მთლიანი საინვესტიციო ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ **40 000** (ორმოცი ათასი) ლარს, ხოლო ცენტრის თანადაფინანსება შეადგენს პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარდგენილ განაცხადში განაცხადის საინვესტიციო ღირებულების არაუმეტეს 70% , მაგრამ არაუმეტეს 100 000 ლარს. ხოლო ცენტრის მხრიდან 100 000 (ასი ათასი) ლარზე მეტი დაფინანსების შემთხვევაში თანადაფინანსება შეადგენს არაუმეტეს საინვესტიციო ღირებულების 50%-ს, მაგრამ არაუმეტეს 250 000 (ორასორმოცდაათი ათასი) ლარისა, ასეთის არსებობის შემთხვევაში არაუმეტეს 4 პროექტისა;
16. **ბენეფიციარის თანამონაწილეობა** - ბენეფიციარის თანამონაწილეობას წარმოადგენს პროექტის განსახორციელებლად ცენტრის თანადაფინანსების გარდა დარჩენილი ფინანსური რესურსი (მათ შორის სესხი);
17. **დასკვნა ფასთა ადეკვატურობაზე** - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა, განაცხადში წარმოდგენილი თანხების საქონლის/მომსახურების/სამუშაოების საბაზრო ფასებთან შესაბამისობაზე, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს დასკვნის მომზადების მეთოდოლოგია და თან უნდა ახლდეს დასკვნის მომზადებისთვის გამოყენებული ბაზრის კვლევა და ინვოისები;
18. **დასკვნა მიზნობრიობის შესახებ** - ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების-ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა თანადაფინანსების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის საინვესტიციო ღირებულების მიზნობრივად ხარჯვასთან და მიზნობრიობის შესრულებასთან დაკავშირებით, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს დასკვნის მომზადების მეთოდოლოგია და თან უნდა ახლდეს დასკვნის მომზადებისთვის გამოყენებული ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლ(ებ)ი. მიზნობრიობის

შესრულება უნდა დასტურდებოდეს, როგორც დასკვნაზე თანდართული დოკუმენტებით ასევე, აუდიტორის მიერ განხორციელებული ინსპექტირებით (აუდიტორის მიერ ადგილზე ნანახი ფაქტობრივი გარემოებებით) ასევე, თანდართული უნდა ქონდეს ადგილზე გადაღებული ფოტომასალა;

19. ექსპერტიზის დასკვნა მშენებლობა/რემონტზე - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან/და შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აკრედიტაციის/სერთიფიკატის მქონე პირის მიერ მომზადებული დადებითი საექსპერტო დასკვნა, რომლითაც დასტურდება შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან;

20. საინვესტიციო ღირებულება - პოტენციური ბენეფიციარის/ბენეფიციარის განაცხადით გათვალისწინებული თანხის საერთო ჯამური ღირებულება საქართველოში მოქმედი გადასახადების ჩათვლით, რაც მოიცავს ცენტრის თანადაფინანსებას და ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხას;

21. პოტენციური ბენეფიციარი ცენტრის თანადაფინანსების მისაღებად გადის შემდეგ ეტაპებს:

ა) ცენტრში განაცხადის წარდგენა;

ბ) განაცხადის პროგრამის კოორდინატორების მიერ შემოწმება;

გ) განაცხადების შეფასების კომისიის მიერ შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციის მომზადება;

დ) განაცხადების საბოლოო განხილვა ბენეფიციართა შესარჩევი კომიტეტის მიერ;

ე) ხელშეკრულების გაფორმება;

ვ) თანამონაწილეობის გადახდა;

ზ) მონიტორინგი.

22. პროგრამის განხორციელების არეალი - პროგრამა განხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა მუნიციპალიტეტში, გარდა ქალაქ ქობულეთისა და ქალაქ ბათუმის ტერიტორიისა ამასთან პროგრამა განხორციელდება ქალაქ ბათუმის შემოერთებულ ტერიტორიაზე და მუნიციპალიტეტების დაბებში;

23. განაცხადის შესწავლა - პროგრამის ფარგლებში დასაქმებული კოორდინატორი, რომელიც უზრუნველყოფს პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი განაცხადის შესაბამისობის დადგენას წინამდებარე წესის მოთხოვნებთან, ადგენს განაცხადზე ხარვეზს, ორგანიზებას უწევს განაცხადის შეფასების კომისიისა და ბენეფიციართა შესარჩევი კომიტეტის სხდომების ჩატარებას, თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს;

24. მონიტორინგი ადგილზე გასვლით - პროგრამის ფარგლებში დასაქმებული პროგრამის სპეციალისტების მიერ, განაცხადების შეფასების კომისიის განხილვის ეტაპზე გადასული პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილ განაცხადში მითითებული ადგილმდებარეობის შესწავლა, დათვალიერების აქტის შედგენა, ასევე ბენეფიციარის მიერ მიღებული საქონლის/შესრულებული სამუშაოების მომსახურების მონიტორინგი, შესაბამისი კონსულტაციების გაწევა.

მუხლი 2. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი აწესრიგებს სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა პროგრამის ფარგლებში ცენტრის მიერ დაფინანსების გაცემის პირობებს და პროცედურებს;
2. პროგრამა განკუთვნილია საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური (საქართველოს მოქალაქე) და იურიდიული პირებისთვის (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი), რომელთაც სურთ ბიზნეს იდეის განხორციელება;
3. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელია პირველად წარმოებასთან ერთად, განვითარდეს ადგილობრივი წარმოება. მნიშვნელოვანია სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით პროექტების თანადაფინანსება. პოტენციური ბენეფიციარის მიერ ინიცირებული განაცხადის თანადაფინანსება მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით;
4. დაფინანსების ადმინისტრირებას, დასაფინანსებელი პროექტების შერჩევას და დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს ახორციელებს ცენტრი;
5. ცენტრის მხრიდან პროექტის თანადაფინანსების წყაროს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი.

მუხლი 3. პროგრამის მიზნები, ამოცანები, პრიორიტეტები და პირობები

1. პროგრამის მიზნებია:

- ა) გეოგრაფიული პრინციპის გათვალისწინებით კონკრეტული დარგების განვითარება;
- ბ) ადგილობრივი წარმოების განვითარება;
- გ) სტაბილური სამუშაო ადგილების შექმნა;
- დ) სამეწარმეო საქმიანობის განვითარება;
- ე) ეკონომიკურ საქმიანობაში ქალთა ჩართულობის ხელშეწყობა;
- ვ) ეკონომიკურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა;
- ზ) სოფლად არსებული რესურსის მიზნობრივი გამოყენების ხელშეწყობა;
- თ) სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერებით;
- ი) სოფლად გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება და კლიმატის ცვლილებების შერბილების ღონისძიებების ხელშეწყობა;
- კ) ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო საწარმოების განვითარების ხელშეწყობა;
- ლ) შპს პირების სამეწარმეო საქმიანობაში ჩართვა.

2. პროგრამის ამოცანები:

- ა) სოფლად ეკონომიკისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა;
- ბ) სოციალური პირობების და ცხოვრების დონის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- გ) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის გაუმჯობესება.

3. პროგრამის პრიორიტეტები:

- ა) ინოვაციური პროექტები;
- ბ) სოფლის მეურნეობის მიმართულებით წარმოდგენილი პროექტები;
- გ) ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება;
- დ) ახალგაზრდა მეწარმეების მიერ წარმოდგენილი პროექტები;

- ე) ქალების მიერ წარმოდგენილი პროექტები;
- ვ) შშმ პირების მიერ წარმოდგენილი პროექტები;
- ზ) სოფლად გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება და კლიმატის ცვლილებების შერბილების ღონისძიებების ხელშეწყობით გათვალისწინებული პროექტები;
- თ) ენერგოეფექტური და განახლებადი ენერჯიების გამოყენების პროექტები.

4. პროგრამის პირობები:

- ა) პროგრამა ითვალისწინებს როგორც არსებული ბიზნესის გაფართოება/მოდერნიზებას ასევე ახალი ბიზნესის („start-up“) დასაწყებად ბენეფიციარებისთვის ფინანსური დახმარების გაწევას;
- ბ) პოტენციურ ბენეფიციარს პროგრამაში ჩართვის მიზნით ცენტრში მხოლოდ ერთი განაცხადის წარდგენის უფლება აქვს;
- გ) პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი განსაზღვრულია წინამდებარე წესით;
- დ) პოტენციური ბენეფიციარის შერჩევის კრიტერიუმებთან შესაბამისობა;
- ე) ხარჯების მიზნობრიობის ადეკვატურობა/შესაბამისობა.

მუხლი 4. პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსება

1. პროგრამა არ ითვალისწინებს შემდეგი ბიზნეს იდეების დაფინანსებას:

- ა) სამხედრო, ბირთვული და სახიფათო ნივთიერებების წარმოებას;
- ბ) სათამაშო ბიზნესს და აზარტულ თამაშებს;
- გ) საფინანსო მომსახურებას (მათ შორის სალომბარდო);
- დ) საქველმოქმედო საქმიანობას;
- ე) თამბაქოს/სიგარეტის წარმოება-გარდა პირველადი გადამამუშავებისა (საშრობი/საჭრელი დანადგარებისა და სხვა);
- ვ) რესტორნის/კაფე-ბარის მოწყობა;
- ზ) დეველოპერული საქმიანობა (მათ შორის პროგრამული საქმიანობა, Software დეველოპმენტი გარდა სოფლის მეურნეობის მიმართულებისა);
- თ) ელექტრონული ბიზნესი;
- ი) სატრანსპორტო მომსახურება;
- კ) სამშენებლო საქმიანობა (გარდა თევზის მეურნეობის მოწყობისა, მეფრინველეობის, მეცხოველეობის ფერმის და სოფლის მეურნეობის მიმართულებით გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობისა);
- ლ) ჭაბურღილის მოწყობა;
- მ) საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ან/და რემონტი;
- ნ) სათბურის მოწყობა;
- ო) მრავალწლიანი ბაღების გაშენება;
- პ) ერთწლიანი კულტურების პირველადი წარმოება;
- ჟ) სასტუმროს/კოტეჯის მოწყობა/აღჭურვა

რ) არ განიხილება ისეთი თევზის მეურნეობის მშენებლობა/მოწყობა, რომლის აუზების ფართობი ნაკლებია 200 კვ.მ-ზე; არსებული თევზის მეურნეობის შემთხვევაში პროექტით გათვალისწინებული ახალი და ბენეფიციარის საკუთრებაში არსებული აუზების საერთო ფართობი არ უნდა იყოს 200 კვ.მ-ზე ნაკლები; არსებული სალიფსიტე მეურნეობის შემთხვევაში პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ ძირითადი საშუალებებით აღჭურვას.

ს) პროგრამა არ ითვალისწინებს ისეთი მეცხოველეობა/მეფრინველეობის ფერმის მშენებლობას, რომელიც:

- არ არის გათვლილი 20-ზე და მეტ მსხვილფეხა რქოსან მერძეულ პირუტყვზე;
- არ არის გათვლილი 50-ზე და მეტ სასუქ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე;
- არ არის გათვლილი 8-ზე და მეტ ღორზე (მაწოვარი ნეზვი);
- არ არის გათვლილი 100-ზე და მეტ სასუქ ღორზე;
- არ არის გათვლილი 50-ზე და მეტ წვრილფეხა პირუტყვზე (თხა, ცხვარი);
- არ არის გათვლილი 30-ზე და მეტ წვრილფეხა პირუტყვზე (ბოცვერი);
- არ არის გათვლილი 3 000-ზე და მეტ ფრთა ფრინველზე;

ტ) პროგრამა არ ითვალისწინებს ისეთი მეფრინველეობის/მეცხოველეობის ფერმების მშენებლობას, რომელიც არ არის დაგეგმილი თანამედროვე სტანდარტებით, საქართველოში მოქმედი ნორმებისა და წესების დაცვით; (კონკრეტულ შემთხვევაში რეკომენდირებულია ვიხელმძღვანელოთ 2014 წელს გამოცემული წიგნი „მეცხოველეობა“, ავტორები: გ.გოგოლი, ლ.თორთლაძე) და 2020 წელს გამოცემული წიგნი „როგორ ავაშენოთ მეცხოველეობის ფერმა“ (მომზადებული მერაბ ჩხარტიშვილის მიერ) და სხვა შესაბამისი დარგობრივი სახელმძღვანელოებით.

უ) არ განიხილება ისეთი ღვინის წარმოების დაფინანსება, რომლის წლიური წარმოება (ღვინის დამზადებისთვის საჭირო ავზების მოცულობა) 10000 (ათი ათასი) ლიტრზე ნაკლებია და აღემატება 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლიტრს, ასევე ისეთი სპირტის წარმოების დაფინანსება, რომლის წლიური წარმოება ნაკლებია 5000 ლიტრზე. განხილული არ იქნება იმ ბენეფიციარების წინადადებები, რომელსაც პროექტით არ ექნებათ წარმოდგენილი ღვინის და სპირტის წარმოების სრული ტექნოლოგიური ხაზი;

ფ) პროგრამა არ ითვალისწინებს ისეთი იურიდიული პირების თანადაფინანსებას, რომლებშიც პირდაპირ ან არაპირდაპირ სახელმწიფო ფლობს წილს, პაის ან აქციებს;

ქ) პოტენციური ბენეფიციარი ვერ მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ თანადაფინანსებას, თუ ბენეფიციარი ან მისი დამფუძნებელი/აქციონერი/მეპაიე ფლობს წილს/აქციას/პაის პროგრამის ფარგლებში, მისთვის საქართველოში რეგისტრირებულ საქონლის/მომსახურების მიმწოდებელ/შემსრულებელ კომპანიაში;

ღ) პროგრამა არ ითვალისწინებს ისეთი პირების თანადაფინანსებას, რომლებიც დაფინანსდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2022 წელს გამოცხადებულ „სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამაში;

ყ) პროგრამა არ ითვალისწინებს ისეთი იურიდიული პირების თანადაფინანსებას, რომლებიც დაფინანსდნენ ცენტრის მიერ გამოცხადებულ სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში. გარდა იმ ბენეფიციარებისა რომლებსაც ცენტრთან აღებული ფინანსური ვალდებულება მიმდინარე პერიოდისთვის ჯეროვნად აქვთ შესრულებული.

2. პროგრამით გათვალისწინებული ხარჯები:

- ა) პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ ძირითადი საშუალების შესყიდვა/შექმნასთან (მათ შორის მშენებლობას) დაკავშირებული ხარჯების თანადაფინანსებას;
- ბ) პოტენციურ ბენეფიციარს თანამონაწილეობად შეიძლება ჩაეთვალოს; ცოცხალი ცხოველის შესყიდვა, მათ შორის: ფრინველის, თევზის, ყველა სახის წყალ-ხმელეთის ძუძუმწოვარი ცხოველების, საინკუბაციო კვერცხის, განაყოფიერებული ქვირითის და სხვა. (ჯიშური ნიშანთვისება და წარმომავლობა უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი სპეციალისტის რეკომენდაციით) მიზნობრივ ხარჯებად შეიძლება ჩაითვალოს ის ხარჯები, რომელიც ყველა ქვემოთ მითითებულ კრიტერიუმს აკმაყოფილებს;
- გ) ხარჯი გაწეულია პროექტის ბიუჯეტის შესაბამისად;
- დ) გაწეული და გადახდილია პროგრამის განხორციელების პერიოდში.

3. პროგრამა არ ითვალისწინებს შემდეგი ხარჯების დაფინანსებას:

- ა) ნებისმიერი მხარისათვის გადასახდელი პროცენტი ან ვალი;
- ბ) კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული დანაკარგი, მოსაკრებელი, ჯარიმა, საურავი და პირგასამტეხლო;
- გ) დასაქმებულზე გაცემული ხელფასი;
- დ) ნებისმიერი ხარჯი, რომელიც უკავშირდება საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს, გადაშენების პირას მყოფი სახეობების განადგურებას, ყალბ და პირატულ საქონელს;
- ე) ადამიანური რესურსის სამსახურეობრივ მივლინებებთან დაკავშირებული ხარჯები;
- ვ) საწარმოს წილების/აქციების შეძენა;
- ზ) სატრანსპორტო საშუალების შეძენა (გარდა წარმოებისთვის აუცილებელი ელექტრო სპეციალური ტექნიკისა);
- თ) პროექტირება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ი) უძრავი ქონების (მათ შორის მიწის) შესყიდვა;
- კ) დიზაინერული მომსახურება;
- ლ) დაზღვევა, მივლინება, ტრენინგი, მარკეტინგი;
- მ) სერტიფიცირება და კონსულტირება;
- ნ) საკრედიტო და სხვა დავალიანების დაფარვა;
- ო) საწარმოს საბრუნავი სახსრების, მათ შორის, საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად.

მუხლი 5. პოტენციური ბენეფიციარის შერჩევის კრიტერიუმები

1. განმცხადებელი წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს (სრულწლოვანი), საქართველოში რეგისტრირებულ მეწარმე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს (გარდა:საბანკო-საფინანსო ინსტიტუტებისა);
2. წარმოდგენილია განახლებული უძრავი ქონების საკუთრებაში, აღნაგობის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა);
3. მშენებლობის თანადაფინანსების შემთხვევაში უძრავი ქონების იჯარა არ განიხილება, გარდა ისეთი მშენებლობისა, რომლის შენობა-ნაგებობის კონსტრუქცია ექვემდებარება დემონტაჟსა და მონტაჟს (ადგილმონაცვლეობას/გადატანას) და აშენდება თანამედროვე ტექნოლოგიით კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებისა და ნებართვების საფუძველზე. უძრავი ქონების იჯარა/აღნაგობა, განიხილება ყველა სხვა შემთხვევაში (იჯარა/აღნაგობის დარჩენილი პერიოდი თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმების დღისთვის უნდა შეადგენდეს

არანაკლებ 10 წელს და იჯარა/აღნაგობის ხელშეკრულება რეგისტრირებული უნდა იყოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“;

4. უძრავ ქონებას, არ ადევს ყადაღა ან/და იპოთეკა (დასაშვებია მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკების/მიკროსაფინანსო ორგანიზაციების იპოთეკა);
5. განმცხადებელს არ გააჩნია დავალიანება სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიმართ;
6. განმცხადებელი არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში;
7. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი არის ცენტრის მიერ განხორციელებული რომელიმე პროექტის/პროგრამის ბენეფიციარი, მას არ უნდა ჰქონდეს პროექტის/პროგრამის პირობები დარღვეული.

მუხლი 6. დაფინანსების პირობები

1. პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარდგენილი პროექტის მთლიანი საინვესტიციო ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 40 000 (ორმოცი ათასი) ლარს, ხოლო ცენტრის თანადაფინანსება შეადგენს პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარდგენილ განაცხადში განაცხადის საინვესტიციო ღირებულების არაუმეტეს 70% , მაგრამ არაუმეტეს 100 000 ლარს. ხოლო ცენტრის მხრიდან 100 000 (ასი ათასი) ლარზე მეტი დაფინანსების შემთხვევაში თანადაფინანსება შეადგენს არაუმეტეს საინვესტიციო ღირებულების 50%-ს, მაგრამ არაუმეტეს 250 000 (ორასორმოცდაათი ათასი) ლარისა, ასეთის არსებობის შემთხვევაში არაუმეტეს 4 პროექტისა;
2. ბენეფიციარის თანამონაწილეობად ითვლება: ა) მხოლოდ ბენეფიციარსა და ცენტრს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის დახარჯვა, რაც უნდა დასტურდებოდეს წინამდებარე წესის პირველი მუხლის მე-17 და მე-18 პუნქტებით გათვალისწინებული დასკვნ(ებ)ით; ბ) ბენეფიციარს თანამონაწილეობად ასევე ჩათვლება პროგრამის კოორდინატორის მიერ განაცხადის პირველადი შესწავლის საფუძველზე პროექტის შემდგომ ეტაპზე გადასვლიდან, თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდში პროგრამის პოტენციური ბენეფიციარის მხრიდან, მის მიერ წარმოდგენილი განაცხადით გათვალისწინებული ბიზნეს იდეის განხორციელებისათვის გაწეული ფინანსური ხარჯი, როგორც უშაულოდ ამ ხარჯის გაწევა, ასევე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში ამ ხარჯის გაწევა უნდა დასტურდებოდეს წინამდებარე წესის პირველი მუხლის მე-17 და მე-18 პუნქტებით გათვალისწინებული დასკვნ(ებ)ით, ამასთან, ხარჯი გაწეული უნდა იყოს წინამდებარე წესის შესაბამისად და გაწეული ხარჯის ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხად ჩათვლის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას ბენეფიციართა შეფასების კომისიის მიერ.
3. ბენეფიციარის მიერ წარდგენილი პროექტის მთლიანი საინვესტიციო ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 40 000 (ორმოცი ათასი) ლარს;
4. ხელშეკრულების დადების შემდეგ ცენტრი დაფინანსებას გასცემს, მხოლოდ ბენეფიციარის მიერ თანამონაწილეობის თანხის მიზნობრივად გახარჯვისა და შესაბამისი აუდიტის დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში;
5. ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს, როგორც საკუთარი ფულადი სახსრები, საბანკო/მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სესხი, სახელმწიფო და საერთაშორისო/ადგილობრივი დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტი. (გრანტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხის 20%-ს);

6. პოტენციურ ბენეფიციარს შეუძლია მოიძიოს დაფინანსება საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკებიდან, მიკრო/საფინანსო ორგანიზაციებიდან, სახელმწიფო და საერთაშორისო/ადგილობრივი დონორი ორგანიზაციებიდან;
7. შესაძლებელია გამოყენებული იქნას წინასწარ გადახდის მექანიზმი მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ბენეფიციარის მიერ საბანკო გარანტიის საფუძველზე.

მუხლი 7. პროგრამის განხორციელების პირობები

1. პროგრამაში მონაწილეობისას პოტენციური ბენეფიციარი გაივლის შემდეგ ეტაპებს:

- ა) ცენტრში განაცხადის წარდგენა;
- ბ) განაცხადის შესწავლა;
- გ) დამატებით დოკუმენტაციის წარმოდგენა, ხარვეზის აღმოფხვრა;
- დ) მომდევნო ეტაპზე გადასული პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილ განაცხადში მითითებული ადგილმდებარეობის შესწავლა;
- ე) განაცხადის შეფასება და რეკომენდაციის მომზადება განაცხადების შეფასების კომისიის მიერ;
- ვ) განაცხადების საბოლოო განხილვა ბენეფიციართა შესარჩევი კომიტეტის მიერ;
- ზ) ხელშეკრულების გაფორმებამდე საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენა
- თ) თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმება;
- ი) ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხის გახარჯვა;
- კ) ცენტრისგან დაფინანსების მიღება;
- ლ) მონიტორინგი.

მუხლი 8. განაცხადის წარმოდგენის ეტაპზე სავალდებულოდ წარმოსადგენი თანმდევი დოკუმენტაცია.

1. პოტენციური ბენეფიციარი იურიდიული პირების განაცხადს თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) დირექტორის/კოოპერატივის თავმჯდომარის პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;
- ბ) განახლებული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირების რეესტრიდან;
- გ) პროექტის განხორციელების ადგილის, განახლებული უძრავი ქონების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა);
- დ) ცენტრის მხრიდან მშენებლობის თანადაფინანსების შემთხვევაში უძრავი ქონების იჯარა არ განიხილება (გარდა ისეთი მშენებლობისა, მიწის ნაკვეთი არის სახელმწიფოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და მუნიციპალიტეტის საკუთრება რომლის შენობა-ნაგებობის კონსტრუქცია ექვემდებარება დემონტაჟსა და მონტაჟს (ადგილმონაცვლეობას/გადატანას) და აშენდება თანამედროვე სტანდარტებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებისა და ნებართვების საფუძველზე); უძრავი ქონების იჯარა/აღნაგობა განიხილება ყველა სხვა შემთხვევაში (იჯარა/აღნაგობის დარჩენილი პერიოდი ხელშეკრულების გაფორმების დღისთვის უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10 წელს და იჯარა/აღნაგობის ხელშეკრულება რეგისტრირებული უნდა იყოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“);

ე) თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა ბანკიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა ბანკიდან/მიკრო საფინანსო ორგანიზაციიდან სესხის დამტკიცების თაობაზე, საგრანტო ხელშეკრულება;

ვ) ინვოისი ან/და ხელშეკრულება საქონლის/შესყიდვის შესახებ (სადაც მითითებული უნდა იყოს მომწოდებლის საკონტაქტო ინფორმაცია და საქონლის ტექნიკური პარამეტრები/შესასრულებელი სამუშაოების მომსახურება)

ზ) ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“ საგადასახადო დავალიანების არარსებობის შესახებ;

თ) სხვა დოკუმენტაცია ცენტრის მოთხოვნის შემთხვევაში.

2. სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების შემთხვევაში, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) მიმდინარე მშენებლობა/რეკონსტრუქციაზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად გაცემული მშენებლობის ნებართვა;

ბ) მშენებლობის განხორციელების ვადაში გაწერილი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტი შედგენილი და ხელმოწერილი შესაბამისი დარგის სპეციალისტის მიერ;

3. პოტენციური ბენეფიციარი ფიზიკური პირების განაცხადს თან უნდა ერთვოდეს:

ა) პირადობის მოწმობის/ პასპორტის ასლი;

ბ) პროექტის განხორციელების ადგილის, განახლებული უძრავი ქონების საკუთრებაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა);

გ) მშენებლობის თანადაფინანსების შემთხვევაში უძრავი ქონების იჯარა არ განიხილება (გარდა ისეთი მშენებლობისა, რომლის შენობა-ნაგებობის კონსტრუქცია ექვემდებარება დემონტაჟსა და მონტაჟს (ადგილმონაცვლეობას/გადატანას) და აშენდება თანამედროვე სტანდარტებით კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებისა და ნებართვების საფუძველზე); უძრავი ქონების იჯარა/აღწერა განიხილება ყველა სხვა შემთხვევაში (იჯარა/აღწერის დარჩენილი პერიოდი ხელშეკრულების გაფორმების დღისთვის უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10 წელს და იჯარა/აღწერის ხელშეკრულება რეგისტრირებული უნდა იყოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“);

დ) თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა ბანკიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა ბანკიდან/მიკრო საფინანსო ორგანიზაციიდან სესხის დამტკიცების თაობაზე, საგრანტო ხელშეკრულება;

ე) ინვოისი ან/და ხელშეკრულება საქონლის/შესყიდვის შესახებ სადაც მითითებული უნდა იყოს მომწოდებლის საკონტაქტო ინფორმაცია და შესაძენი საქონლის ტექნიკური პარამეტრები/შესასრულებელი სამუშაოების მომსახურება);

ვ) ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“ საგადასახადო დავალიანების არარსებობის შესახებ;

ზ) სხვა დოკუმენტაცია ცენტრის მოთხოვნის შემთხვევაში;

4. სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების შემთხვევაში, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) მიმდინარე მშენებლობა/რეკონსტრუქციაზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად გაცემული მშენებლობის ნებართვა;

ბ) მშენებლობის განხორციელების ვადაში გაწერილი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტი შედგენილი და ხელმოწერილი შესაბამისი დარგის სპეციალისტის მიერ.

მუხლი 9. განაცხადის წარმოდგენის ფორმა, ვადა

და განაცხადის შემოწმების ეტაპი

1. პოტენციური ბენეფიციარის მიერ განაცხადის წარმოდგენა შესაძლებელია მატერიალური ფორმით, ქართულ ენაზე, ცენტრის ადმინისტრაციულ ოფისში, გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია წარმოდგენილი იქნეს ელექტრონულად ცენტრის შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე agroservice.centre@yahoo.com ,ელექტრონული განაცხადი და თანმდევი დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დასკანერებული სახით „pdf“ ფორმატში, ცენტრი უზრუნველყოფს განაცხადისა და თანდართული დოკუმენტების შემოტანისთანავე ელექტრონულად ატვირთვას საქმის წარმოების ერთიან ელექტრონულ სისტემაში;
2. პოტენციური ბენეფიციარის მიერ, როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური სახით განაცხადის წარმოდგენა ხდება ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში. პროგრამის მენეჯერის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული წინადადების საფუძველზე შესაძლებელია განაცხადების მიღების ვადის გახანგრძლივება;
3. პროგრამის კოორდინატორი გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს განაცხადის შესაბამისობის დადგენას წინამდებარე წესით გათვალისწინებულ პირობებთან და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში გამოსასწორებლად აძლევს გონივრულ ვადას;
4. პროგრამის სპეციალისტი ამავე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ უზრუნველყოფს პოტენციურ ბენეფიციართან შეთანხმებით, განაცხადით წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმებას ადგილზე გასვლით, განაცხადში მითითებული ტერიტორიის მონიტორინგს და დათვალიერების აქტის შედგენას;
5. თუ განაცხადი შეესაბამება წინამდებარე წესით გათვალისწინებულ წინაპირობებს, მაგრამ დანართი N1 (ფინანსური დაგეგმარება,პროექტის ბიუჯეტი) არ არის წარმოდგენილი, ან არასრულია, კოორდინატორის მოთხოვნის საფუძველზე პოტენციური ბენეფიციარი ვალდებულია წესის შესაბამისად დააზუსტოს და 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს განაცხადის დანართი №1;
6. ფერმის ან საწარმოს მოწყობის შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია მოიწვიოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის წარმომადგენელი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი რეკომენდაციის გაცემას საწარმოს მოწყობასთან დაკავშირებით, აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველზე კოორდინატორი განსაზღვრავს პროექტის შემდგომ ეტაპზე გადასვლას;
7. პოტენციური ბენეფიციარის მიერ განაცხადის წარმოდგენა შესაძლებელია მატერიალური ფორმით, აგროსერვის ცენტრის ცენტრალურ ოფისში. გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია წარმოდგენილი იქნეს ელექტრონულად ცენტრის ელექტრონულ ფოსტაზე, შემოტანისთანავე ცენტრი უზრუნველყოფს განაცხადისა და თანდართული დოკუმენტების ატვირთვას საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაში;
8. პროგრამის კოორდინატორი გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს განაცხადის შესაბამისობის დადგენას წინამდებარე წესით გათვალისწინებულ პირობებთან და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში გამოსასწორებლად აძლევს გონივრულ ვადას;
9. პროგრამის სპეციალისტი ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ უზრუნველყოფს პოტენციურ ბენეფიციართან შეთანხმებით, განაცხადით წარმოდგენილი

ინფორმაციის გადამოწმებას ადგილზე გასვლით, განაცხადში მითითებული ტერიტორიის მონიტორინგს და დათვალიერების აქტის შედგენას;

10. თუ განაცხადი შეესაბამება წინამდებარე წესით გათვალისწინებულ წინაპირობებს, მაგრამ დანართი N1 (პროექტის ბიუჯეტი) და დანართი N2 (ფინანსური დაგეგმარება) არ არის წარმოდგენილი, ან არასრულია, კოორდინატორის მოთხოვნის საფუძველზე პოტენციური ბენეფიციარი ვალდებულია წესის შესაბამისად დააზუსტოს და 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს განაცხადის დანართი N1 და დანართი N2;
11. ფერმის ან საწარმოს მოწყობის შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია მოიწვიოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის წარმომადგენელი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი რეკომენდაციის გაცემას საწარმოს მოწყობასთან დაკავშირებით, აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველზე კოორდინატორი განსაზღვრავს პროექტის შემდგომ ეტაპზე გადასვლას;
12. თუ განაცხადი (გარდა ტექნიკური ხარვეზისა) და წარმოდგენილი დაკორექტირებული დოკუმენტები არ შეესაბამება წინამდებარე წესით გათვალისწინებულ წინაპირობებს, ამ შემთხვევაში პროექტი ვერ გადავა შემდეგ ეტაპზე.

მუხლი 10. ბენეფიციართა შეფასების კომისიის მიერ ქულების მინიჭება და რეკომენდაციის მომზადება

1. კოორდინატორის მიერ განაცხადის პირველადი შესწავლის შემდგომ, ბენეფიციართა შეფასების კომისია ახდენს განაცხადების შეფასებას ქულათა სისტემით წინამდებარე წესის შესაბამისად;
2. პროგრამის განაცხადი ფასდება შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:
 - ა) პროექტით დაგეგმილი საქმიანობების შესაბამისობა პროექტის მიზანსა და ამოცანებთან (შეფასების ქულა 0-დან 4-მდე);
 - ბ) პროექტის მდგრადობა (შეფასების ქულა 0-დან 4-მდე);
 - გ) სოფლის მეურნეობის მიმართულებით წარმოდგენილი პროექტები (შეფასების ქულა 0-დან 2-მდე);
 - დ) ახალგაზრდა მეწარმეების მიერ წარმოდგენილი პროექტები (შეფასების ქულა 1);
 - ე) ქალების მიერ წარმოდგენილი პროექტები (შეფასების ქულა 1);
 - ვ) შშმ პირის მიერ წარმოდგენილი პროექტები (შეფასების ქულა 1 ქულა)
 - ზ) მარკეტინგი - მიწოდების არხები (შეფასების ქულა 0-დან 2-მდე);
 - თ) შესაძლო რისკების ანალიზი (შეფასების ქულა 0-დან 2-მდე);
 - ი) დასაქმება (შეფასების ქულა 0-დან 4-მდე);
 - კ) პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო კომპეტენციის არსებობა (შეფასების ქულა 0-დან 4-მდე);
 - ლ) პროექტის მიხედვით წარმოდგენილი ინოვაციური მიდგომა (შეფასების ქულა 0-დან 3-მდე);
3. განაცხადის სპეციფიკიდან გამომდინარე კომისია განიხილავს ბენეფიციარის მიერ ვადაში გაწერილი საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტის საფუძველზე ხარჯვის

დამადასტურებელი აუდიტის დასკვნის წარმოდგენამდე წინასწარ დაფინანსების გაცემის საკითხს;

4. განაცხადის შეფასების კომისია ცენტრის დირექტორს წარუდგენენ კომისიის რეკომენდაციებს;

მუხლი 11. განაცხადების საბოლოო განხილვა და ბენეფიციართა

შერჩევა

1. განაცხადების საბოლოო განხილვასა და ბენეფიციართა შერჩევას ახორციელებს ბენეფიციართა შერჩევის კომიტეტი, განაცხადის შეფასების კომისიის მიერ მომზადებული რეკომენდაციების და პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე;
2. ბენეფიციართა შერჩევის კომიტეტი ცენტრის დირექტორს წარუდგენს შემაჯამებელ ოქმსა და შერჩეულ ბენეფიციართა სიას.

მუხლი 12. შედეგების გასაჩივრება

1. პოტენციურ ბენეფიციარს უფლება აქვს განაცხადის საბოლოო შერჩევის შედეგები გაასაჩივროს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 13. თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმება.

1. ხელშეკრულების გაფორმებისთვის ბენეფიციარი იურიდიული პირი ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) განახლებული ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“ საგადასახადო დავალიანების არარსებობის შესახებ;

ბ) პროექტის განხორციელების ადგილის, უძრავი ნივთის შემთხვევაში განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

გ) განახლებული ამონაწერი მეწარმეთა (არასამეწარმეო) იურიდიული პირების რეესტრიდან, ხოლო სურსათის კონტროლს დაქვემდებარებული ობიექტებისთვის ბიზნეს ოპერატორად რეგისტრაცია(ასეთის არარსებობის შემთხვევაში);

დ) განახლებული თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა ბანკიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა ბანკიდან/მიკრო საფინანსო ორგანიზაციიდან სესხის დამტკიცების თაობაზე, ან/და საგრანტო ხელშეკრულება;

ე) სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ გაცემული იურიდიული პირის წესდების ასლი;

ვ) ნოტარიულად დამოწმებული დამფუძნებლების კრების ოქმი განაცხადის დაფინანსების ვალდებულებების აღების თაობაზე (დამფუძნებლების კრების ოქმის წარმოდგენა არ არის საჭირო თუ წესდებით დირექტორს მინიჭებული აქვს შესაბამისი ვალდებულებების აღების უფლებამოსილება);

ზ) ღვინის წარმოების შემთხვევაში ბენეფიციარი ვალდებულია წარმოადგინოს სსიპ „ღვინის ეროვნული სააგენტო“-ში დარეგისტრირების დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) სსიპ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა

თანადაფინანსების სახსრებით დასაფინანსებელი საქონლის/მომსახურების/სამუშაოების საბაზრო ფასებთან შესაბამისობის შესახებ;

ი) განახლებული ინვოისი/ინვოისები;

კ) სხვა დოკუმენტაცია ცენტრის მოთხოვნის შესაბამისად;

2. მშენებლო/სარემონტო სამუშაოების შემთხვევაში, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) მშენებლობის განხორციელების ვადაში გაწერილი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტი შედგენილი და ხელმოწერილი შესაბამისი დარგის სპეციალისტის მიერ;

ბ) მშენებლობა/რეკონსტრუქციაზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად გაცემული მშენებლობის ნებართვა;

გ) ბენეფიციარი ვალდებულია მშენებლობა განახორციელებინოს მის მიერ შერჩეულ კომპანიას, რომელსაც აქვს მშენებლობის სფეროში არანაკლებ 2 წლის გამოცდილება და შესრულებული აქვს პროექტით განსაზღვრული საინვესტიციო ღირებულების ანალოგიური/მსგავსი სამუშაოები (ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს კომპანიის მიერ სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, კერძოდ ხელშეკრულების ასლ(ებ)ი, მომსახურების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის ასლები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები (არსებობის შემთხვევაში) ან/და გადახდის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები);

3. ხელშეკრულების გაფორმებისთვის ბენეფიციარი ფიზიკური პირი ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) განახლებული ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“ საგადასახადო დავალიანების არარსებობის შესახებ;

ბ) პროექტის განხორციელების ადგილის, განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

გ) მეწარმეთა შესახებ კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო სურსათის კონტროლს დაქვემდებარებული ობიექტებისთვის ბიზნეს ოპერატორად რეგისტრაცია;

დ) განახლებული თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა ბანკიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა ბანკიდან/მიკრო საფინანსო ორგანიზაციიდან სესხის დამტკიცების თაობაზე, ან/და საგრანტო ხელშეკრულება;

ე) ღვინის წარმოების შემთხვევაში ბენეფიციარი ვალდებულია წარმოადგინოს სსიპ „ღვინის ეროვნული სააგენტო“-ში დარეგისტრირების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) სსიპ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა თანადაფინანსების სახსრებით დასაფინანსებელი საქონლის/მომსახურების/სამუშაოების საბაზრო ფასებთან შესაბამისობის შესახებ;

ზ) განახლებული ინვოისი/ინვოისები;

თ) სხვა დოკუმენტაცია ცენტრის მოთხოვნის შესაბამისად.

4. სამშენებლო/სარემონტო სამუშაოების შემთხვევაში, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) მშენებლობის განხორციელების ვადაში გაწერილი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტი შედგენილი და ხელმოწერილი შესაბამისი დარგის სპეციალისტის მიერ;
 - ბ) მშენებლობა/რეკონსტრუქციაზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად გაცემული მშენებლობის ნებართვა;
 - გ) ბენეფიციარი ვალდებულია მშენებლობა განახორციელებინოს მის მიერ შერჩეულ კომპანიას, რომელსაც აქვს მშენებლობის სფეროში არანაკლებ 2 წლის გამოცდილება და შესრულებული აქვს პროექტით განსაზღვრული საინვესტიციო ღირებულების ანალოგიური/მსგავსი სამუშაოები (ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს კომპანიის მიერ სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, კერძოდ ხელშეკრულების ასლ(ებ)ი, მომსახურების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის ასლები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები (არსებობის შემთხვევაში) ან/და გადახდის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები);
- 5. იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არის სრულყოფილი და ვადების დაცვით, მოწვეული იქნება ხელშეკრულების გასაფორმებლად, ხოლო იმ შემთხვევაში თუ არ არის სრულყოფილი ან დარღვეულია წარმოდგენის ვადები, აღნიშნულ შემთხვევაში ხელშეკრულება არ გაფორმდება და ჩანაცვლდება ბენეფიციართა შესარჩევი კომიტეტის მიერ შერჩეული მომდევნო ბენეფიციარით;**
- 6. ცენტრის ადმინისტრაციული სამსახური ამოწმებს ხელშეკრულების პროექტის შესაბამისობას პროგრამის პირობებთან და საქართველოს კანონმდებლობასთან.**

მუხლი 14. მომსახურების/საქონლის სამუშაოს მიღება-ჩაბარება.

ბენეფიციარი და მიმწოდებელი ხელშეკრულების შესაბამისად საქონელის/მომსახურების მიღების მიზნით ადგენს:

- ა) შესყიდული საქონლის/მომსახურების/სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ს;
- ბ) საქონელის/მომსახურების ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამობის შემთხვევაში შესაბამის აქტს;
- გ) მშენებლობის შემთხვევაში დაქირავებული მეწარმე ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ გაცემული ფორმა N2-ს.

მუხლი 15. ბენეფიციარის მიერ თანამონაწილეობის თანხის გადახდა

- 1. წინამდებარე წესით და ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად ბენეფიციარი ვალდებულია უზურნველყოფს თანამონაწილეობის თანხის გახარჯვა და შესაბამისი აუდიტის დასკვნის წარმოდგენა ცენტრში;**
- 2. ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტებია:**
 - ა) სსიპ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა თანამონაწილეობის თანხით საქონლის/მომსახურების/სამუშაოების მიზნობრივად ხარჯვის შესახებ;

ბ) მშენებლობა/რემონტის შემთხვევაში ბენეფიციარი ვალდებულია, სამუშაოების შესრულების შემდეგ წარმოადგინოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან/და შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აკრედიტაციის/სერტიფიკატის მქონე პირის მიერ მომზადებული დადებითი საექსპერტო დასკვნა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ნაწილზე.

მუხლი 16. ცენტრის მიერ დაფინანსების გაცემა.

1. წინამდებარე წესით განსაზღვრული მე-15 მუხლის წინაპირობების არსებობის შემთხვევაში ცენტრის მიერ დაფინანსების გაცემა შეიძლება მოხდეს ტრანშებად (პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია დაფინანსება გაიცეს ერთდროულად), ხელშეკრულებით დაგეგმილი გრაფიკის მიხედვით;
2. დაფინანსების/ტრანშის მისაღებად ბენეფიციარი მიმართავს - ცენტრს, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს ტრანშის გაცემის წინაპირობის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
3. ცენტრის გადაწყვეტილებით შესაძლებელია გამოყენებული იქნას წინასწარ გადახდის მექანიზმი მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის საფუძველზე;
4. ბენეფიციარი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ახდენს პროექტის ფარგლებში შექმნილი (შესაძლებელია გამოყენებული იქნას სხვა უძრავი ქონებაც) უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვას, (აღნიშნულ ხარჯს გაიღებს ბენეფიციარი);
5. ბენეფიციარი ვალდებულია ცენტრს წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა იპოთეკისათვის განკუთვნილი უძრავი ქონების შეფასებაზე, რომელიც უნდა აღემატებოდეს ცენტრის მიერ გასაცემ დაფინანსებას;
6. პროგრამის ფარგლებში ხელშეკრულების ეტაპებით განსაზღვრული ბენეფიციარის მიერ აღებული ვალდებულებების დროული შეუსრულებლობით საბიუჯეტო წელს გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში თანადაფინანსების (სუბსიდია) პროცედურების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, შესაბამისი განხილვისა და დასაბუთების საფუძველზე, შესაძლებელია მიღებულ იქნეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი გადაწყვეტილება:
 - ა) თანადაფინანსების (სუბსიდია) შესახებ ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების გზით ვალდებულებათა შესრულების ვადების კორექტირება;
 - ბ) შესაბამისი შეთანხმების გაფორმების გზით საბანკო გარანტიის საფუძველზე საავანსო ანგარიშსწორების თაობაზე;
 - გ) თანადაფინანსების (სუბსიდია) შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი (პროექტის დასრულების შესაძლებლობის დაბალი სანდოობის ან სანდოობის არ არსებობის შემთხვევაში) მოქმედი კანონმდებლობისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდში მიწოდებული საქონლისა/მომსახურების/სამუშაოს ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება ცენტრს არ წარმოეშობა;
7. ბენეფიციარის მხრიდან პროექტის გაგრძელებაზე უარის თქმის შემთხვევაში, განიხილება თანადაფინანსების (სუბსიდია) შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი. ამასთან,

ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდში მიწოდებული საქონლისა/მომსახურების/სამუშაოს ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება ცენტრს არ წარმოეშობა;

8. პროგრამის ფარგლებში ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განხორციელების ეტაპზე შექმნილი ფორს-მაჟორის (ომი, საომარი მოქმედებები, სტიქიური მოვლენები, პანდემია, ეპიდემია, კარანტინი და სხვა მოვლენები, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად) შემთხვევაში, განიხილება ვალდებულებათა შესრულების ვადის გადატანის (გაგრძელების) შესაძლებლობა, ან მხარეები თავისუფლდებიან ნაკისრი პასუხისმგებლობისა და ვალდებულებისგან;
9. ბენეფიციარის შრომისუუნარობის ან გარდაცვალების შემთხვევაში, თანადაფინანსების (სუბსიდია) შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე გადავა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებამოსილ პირ(ებ)ზე, წინააღმდეგ შემთხვევაში განიხილება თანადაფინანსების (სუბსიდია) შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი, ამასთან ხელშეკრულების შეწყვეტამდე პერიოდში მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება ცენტრს არ წარმოეშობა.

მუხლი 17. მონიტორინგი.

1. პროგრამის მიმდინარეობის პერიოდში ცენტრი განახორციელებს მონიტორინგს პერიოდულად სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე;
2. ცენტრი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, განახორციელოს თანადაფინანსების ხარჯვის მიზნობრიობისა და პროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგი, პირადად ან დამოუკიდებელი სპეციალისტის/ექსპერტის/აუდიტორის მეშვეობით, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება ბენეფიციარის საქმიანობის ადგილზე შემოწმებითა და დოკუმენტური მონიტორინგით (დადებითი დასკვნის შემთხვევაში აღნიშნულ ხარჯს გაიღებს ცენტრი, ხოლო უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში ხარჯს გაიღებს ბენეფიციარი);
3. ხელშეკრულების შესრულების შემდეგ ცენტრი განახორციელებს მონიტორინგს ორი წლის განმავლობაში.

მუხლი 18. ბენეფიციარის ვალდებულებები

- ა) ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს ერთი წლისა ცენტრს წარუდგინოს სსიპ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა ხელშეკრულების დანართი #2 ფინანსური დაგეგმარების მიხედვით განხორციელებული წარმოებული პროდუქციის და ხარჯების შესახებ, გარდა ამავე მუხლის „გ“ პუნქტისა;
- ბ) თანადაფინანსების ხარჯვის მიზნობრიობის დასადასტურებლად ბენეფიციარმა ცენტრში უნდა წარადგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 24 თვის ვადაში სსიპ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა გათვალისწინებული პროექტის საინვესტიციო ღირებულების მიზნობრივად ხარჯვასთან და მიზნობრიობის შესრულებასთან დაკავშირებით, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს დასკვნის მომზადების მეთოდოლოგია და თან უნდა ახლდეს დასკვნის მომზადებისთვის გამოყენებული ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლ(ებ)ი.

- გ) 2020 წლებში დაფინანსებული ბენეფიციარებს ცენტრის მოთხოვნის შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯვის დადასტურების მიზნით ვალდებულია წარმოადგინოს ინვოისი/ზედნაღები, ხელშეკრულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დ) ბენეფიციარი ვალდებულია საწარმოს მოწყობის შემთხვევაში, შენობების მშენებლობა და ინვენტარის შეძენა განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- ე) მშენებლობის შემთხვევაში ბენეფიციარი ვალდებულია მშენებლობა განახორციელებინოს მის მიერ შერჩეულ კომპანიას, რომელსაც აქვს აღნიშნულ სფეროში არანაკლებ 2 წლის გამოცდილება და შესრულებული აქვს პროექტით განსაზღვრული საინვესტიციო ღირებულების ანალოგიური/მსგავსი სამუშაოები, სამუშაოების შესრულების შემდეგ ბენეფიციარი ვალდებულია წარმოადგინოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან/და შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აკრედიტაციის/სერთიფიკატის მქონე პირის მიერ მომზადებული დადებითი საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა სრულ სახარჯთაღრიცხვო ნაწილზე;
- ვ) ცენტრის მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს პროგრამის ფარგლებში მიღებული თანადაფინანსების თანხების აღრიცხვა და ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოება საქართველოს კანონმდებლობის და პროგრამის პირობების შესაბამისად. ამთან უზრუნველყოს ცენტრის მიერ დოკუმენტური მონიტორინგის განხორციელებისთვის საჭირო პირობების შექმნა;
- ზ) ცენტრს მონიტორინგის მიზნით, მიაწოდოს უტყუარი, დროული და სრული ინფორმაცია განხორციელებული პროექტის შესახებ (მათ შორის დასაქმებული პირების და გაწეული ხარჯების შესახებ);
- თ) მისცეს თანხმობა და შესაძლებლობა ცენტრს/სამინისტროს მოამზადოს და გამოაქვეყნოს წერილობით ისტორიები, სურათები, ვიდეო მასალა დაფინანსებული პროექტის და ბენეფიციარის გამოცდილების შესახებ;
- ი) არ შეაფერხოს ცენტრის პროგრამის ან მათ მიერ განსაზღვრული მესამე პირის მიერ მონიტორინგისა და შეფასების მიზნით ჩასატარებელი ღონისძიებები, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში;
- კ) პროგრამის ფარგლებში, ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, ცენტრის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთოს საწარმოს უძრავი ქონება ან სხვა უძრავი ქონება, რომლის საბაზრო ღირებულება უნდა აღემატებოდეს ცენტრის მიერ გაცემულ დაფინანსებას;
- ლ) პროექტი დასრულებულად ჩაითვლება ცენტრსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბენეფიციარის ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისთანავე, ბენეფიციარმა ცენტრს უნდა წარუდგინოს სსიპ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა ხელშეკრულების დანართი #2 ფინანსური დაგეგმარების მიხედვით განხორციელებული წარმოებული პროდუქციის და ხარჯების შესახებ.

მუხლი 19. პროგრამის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება.

ცენტრი პროგრამის შესახებ აწარმოებს საინფორმაციო კამპანიას:

- ა) ცენტრის მიერ პროგრამის შესახებ საინფორმაციო მასალების მომზადება;
- ბ) საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება (დღის წესრიგის შედგენა);
- გ) საინფორმაციო შეხვედრები მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან;
- დ) საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან სამიზნე ადმინისტრაციულ ერთეულებში;
- ე) პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა მედია საშუალებებით. საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდება ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტში. საინფორმაციო კამპანიის შედეგად უზრუნველყოფილი იქნება ინფორმაციის მაქსიმალური გავრცელება სამიზნე ჯგუფებამდე, პროგრამის მიზნების და მასში ჩართვის პირობების შესახებ.